

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
საგანმანათლებლო პროგრამა**

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება – გეოგრაფია (პროფესიული ცოდნა და გეოგრაფიის სწავლების მეთოდოლოგია).

პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) რაოდენობის მითითებით – 4 ECTS კრედიტი (50 საკონტაქტო, 50 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ: 100 საათი).

საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ზოგადი განმარტება.

საკონტაქტო საათში იგულისხმება ის დრო, რომელსაც მსმენელი უთმობს ლექციაზე, სემინარზე, კოლოკვიუმზე, პრეზენტაციაზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობაზე და სხვ. დასწრებას.

დამოუკიდებელი მუშაობის საათი გულისხმობს მსმენელის მიერ ლექციაზე მოსმენილი მასალის დამოუკიდებლად დამუშავებას იმ ძირითადი ლიტერატურის გამოყენებით, რომელიც მითითებულია სასწავლო გეგმაში თითოეულ საკითხთან დაკავშირებით. დამოუკიდებელი მუშაობის საათებში გათვალისწინებულია ის დრო, რომელსაც უთმობს მსმენელი სემინარისთვის, კოლოკვიუმისთვის, საბოლოო გამოცდისთვის და სხვ. მზადებას, პრეზენტაციის, აკადემიური პორტფოლიოს, საშინაო დავალების, საცდელი გაკვეთილის და სხვ. მომზადებას.

პროგრამის ხანგრძლივობა – მასწავლებლებს საშუალება ექნებათ აირჩიონ მათთვის სასურველი ფორმა: 1) სტანდარტული – 6 კვირა; 2) ინტენსიური – 12 დღე.

პროგრამის განხორციელების ადგილი – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3, X კორპუსი (ე.წ. მაღლივი კორპუსი), მისამართი: უნივერსიტეტის ქ. #2, XI კორპუსი, მისამართი: უნივერსიტეტის ქ. #13.

პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა – ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა: 25. მუშაობა შესაძლებელია წარიმართოს ორ ჯგუფად.

ვინაიდან ინტენსიური სწავლების შემთხვევაში პროგრამის ასათვისებლად საკმარისია 12 დღე, ყოველ მეცამეტე დღეს შესაძლებელია მივიღოთ მსმენელთა ახალი ნაკადი.

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების რაოდენობა – 4 მასწავლებელი (3 – ძირითადი და 1 – დამხმარე).

პროგრამის ავტორი / ხელმძღვანელი (ფიზიკური ან/და იურიდიული პირი) – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების მიმართულების

ხელმძღვანელი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი.

პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი – პროგრამაში ჩართვის წინაპირობა არის გეოგრაფიის მასწავლებლის დიპლომი. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული დიპლომის (ანუ განათლების) მქონე პირები, რომლებიც უკვე არიან ან მომავალში აპირებენ გეოგრაფიის მასწავლებლად მუშაობას.

პროგრამის ღირებულება – 160 ლარი.

პროგრამის შექმნავეების თარიღი – 2009 წლის იანვარი (პროგრამა დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 16 თებერვლის #181 დადგენილებით) (იხ. დანართი II).

პროგრამის მოდიფიცირების თარიღი – 2009 წლის მარტი, თსუ რექტორის 2009 წლის 4 მარტის # 22/01-01 ბრძანების შესაბამისად (იხ. დანართი II).

პროგრამის შინაარსი

პროგრამის მიზნები და ამოცანები – პროგრამა მიზნად ისახავს გეოგრაფიის მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და მათ მომზადებას სასერთიფიკაციო გამოცდისათვის.

პროგრამის ამოცანებია: გეოგრაფიის მასწავლებლებს გააცნოს თანამედროვე გეოგრაფიის განვითარების თავისებურებანი, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მეთოდები, ინტერაქტიურ სწავლებაში გეოგრაფიული თვალსაჩინოების გამოყენების უნარ-ჩვევები, თანამედროვე გეოგრაფიული კვლევის მეთოდები, გეოგრაფიის საბაზო და საშუალო სკოლის პროგრამის ძირითადი პრინციპები, სასკოლო სახელმძღვანელოების სტრუქტურა, თანამედროვე გეოგრაფიის მნიშვნელობა გლობალური ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების წარმოჩენაში, გეოგრაფიული კვლევის სავლე და კამერალური მეთოდები, სასწავლო და შემეცნებითი პროცესის დაგეგმვა და სხვ.

პროგრამის (მოსალოდნელი) შედეგები – პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს გეოგრაფიის მეთოდოლოგიური და მეთოდური თავისებურებების განსაზღვრას; გეოგრაფიული კვლევის საშუალებების და მეთოდების წარმოჩენას; თანამედროვე გეოგრაფიის მნიშვნელობის დასაბუთებას მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის.

პროგრამის განხორციელების პროცესში მსმენელი გაეცნობა ჯგუფური მუშაობის, პროექტის განხორციელების, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის ხერხებს, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მისი მოთხოვნების თავისებურებებს სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე; მიიღებს საჭირო ცოდნას კამერალური და სავლე კვლევის მეთოდების შესახებ; შექმნის გეოგრაფიული თვალსაჩინოების და გეოგრაფიულ მონაცემთა ბაზების ელექტრონულ კართოტეკას; დააგროვებს და გამოიყენებს თანამედროვე ინფორმაციას ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის შესახებ; დახელოვნდება გეოგრაფიის სწავლებისას ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებაში, გაეცნობა ბუნების ცალკეული კომპონენტების სავლე კვლევის მეთოდებს, რასაც გამოიყენებს სასწავლო ექსკურსიების ორგანიზებისას.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი – პროგრამა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით მსმენელები გაეცნობიან თანამედროვე გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებს, განსაზღვრავენ მათ მნიშვნელობას სასწავლო პროცესისათვის, შეისწავლიან მათი გადაცემის მეთოდებს.

პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია როგორც გეოგრაფიის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების, ისე გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემების განხილვა.

სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, მსმენელები ასევე დაეუფლებიან საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის, ჯგუფური მუშაობის, ინტერაქტიური სწავლების, დავალებების შერჩევისა და შედგენის ხერხებს; გაეცნობიან არსებულ გრაფიკულ და კარტოგრაფიულ მასალას.

პროგრამა წარმოდგენილია ერთი მოდულით და იგი მოიცავს შემდეგ ძირითად თემებს: თანამედროვე გეოგრაფიის აქტუალური საკითხები; გლობალური პრობლემები და გეოგრაფია; კომპიუტერული ტექნოლოგიები გეოგრაფიაში; სასკოლო გეოგრაფიული განათლების კონცეფცია.

სწავლების მეთოდოლოგია: პროგრამის მსვლელობისას გამოყენებული იქნება სწავლების პროცესის აქტივიზაციის ხერხები და მეთოდები: ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი, დისკუსია), პრაქტიკულ-ვარჯიშობითი (პრაქტიკული სამუშაოები), წიგნზე მუშაობის მეთოდი (დამოუკიდებელი და ახსნითი), სწავლების დიდაქტიკური პრინციპები (მაგალითად, თვალსაჩინოების, ინდივიდუალური მიდგომის, სისტემატურობის და თანამიმდევრობის პრინციპები და სხვ.). ჩატარდება ინდივიდუალური კონსულტაციები. მუშაობა შესაძლებელია წარიმართოს ორ ჯგუფად.

პროგრამის შინაარსი, ძირითადი თემები და საკითხები, მათი მოცულობა და დროში განაწილება მოცემულია სასწავლო გეგმაში.

სასწავლო გეგმა

ლექტორები:

1. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი, ტელ. 64-76-86 (ბინა), 25 33 13 (სამსახური), 8 (99) 41 08 04 (მობ). E-mail: nelizbarashvili@yahoo.com
2. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დალი ნიკოლაიშვილი, ტელ. 35-50-24 (ბინა), 25 33 13 (სამსახური), 8 (99) 71-06-25 (მობ). E-mail: dali_nikolaishvili@yahoo.com
3. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი გიორგი მელაძე, ტელ. 61-01-25 (ბინა), 25 33 13 (სამსახური), 8 (99) 20-60-12 (მობ). E-mail: meladzeg@gmail.com
4. ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ია დევნოზაშვილი, ტელ.: 27-89-14 (ბინა), 8 (95) 11 90 33 (მობ), E-mail: iadevnozashvili@yahoo.com

საკითხები, მათი მოცულობა და დროში განაწილება:

1. გეოგრაფიის არსი, გეოგრაფიის კვლევის საგანი და ამოცანები. გეოგრაფიული გარსი და მისი შედგენილობა. გეოგრაფიის კვლევის ობიექტები. [1] გვ. 3-10, [8] გვ. 3-11.

ლექცია 2 სთ.

ტრენერი: ნ. ელიზბარაშვილი.

2. გეოგრაფიის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. [1] გვ. 11-14.

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერები: ნ. ელიზბარაშვილი, დ. ნიკოლაიშვილი.

3. ერთიანი გეოგრაფია. გეოგრაფიის სტრუქტურა, გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა. [1] გვ. 14-28, [8] გვ. 12 - 17. [3] გვ. 9 - 14.

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერები: ნ. ელიზბარაშვილი, დ. ნიკოლაიშვილი.

4. გეოგრაფიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში და კავშირი სხვა მეცნიერებებთან. თანამედროვე გეოგრაფიისთვის დამახასიათებელი პროცესები. [1] გვ. 33-36, [8] გვ. 17-20.

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერები: ნ. ელიზბარაშვილი, დ. ნიკოლაიშვილი.

5. გეოგრაფიის განვითარების ისტორია და გეოგრაფიული იდეების განვითარება. გეოგრაფიის განვითარების თანამედროვე ტენდენციები. საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება. [1] გვ. 37-43.

ლექცია 1 სთ., პრაქტიკუმი 1 სთ.

ტრენერი: ნ. ელიზბარაშვილი.

საშინაო დავალება: გეოგრაფიის სტრუქტურა და კავშირი სხვა მეცნიერებებთან [1] გვ. 14-28, [3] გვ. 9-14.

ტრენერი: დ. ნიკოლაიშვილი.

6. გეოგრაფიის მეთოდოლოგია, ანალიზი და სინთეზი გეოგრაფიაში. გეოგრაფიული მიდგომა. გეოგრაფიის ტერმინოლოგიური აპარატი. გეოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგია. [1] გვ. 44-54, [8] გვ. 21 - 27.

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერი: ნ. ელიზბარაშვილი.

7. გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები გეოგრაფიაში. მონაცემთა ბაზები და კარტოგრაფიული გამოსახულებანი. [2] გვ. 23 - 88.

ლექცია 1 სთ.

ტრენერი: დ. ნიკოლაიშვილი.

8. გეოგრაფიის სწავლების მეთოდები. შედარების, ანალიზის და სინთეზის მეთოდი. ჯგუფური და ინდივიდუალური სწავლება. მასწავლებლის წიგნი და მასში მოტანილი სწავლების მეთოდები. [1] გვ. 3-10, [5] გვ. 97-136.

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერი: ნ. ელიზბარაშვილი.

შუალედური ტესტირება – 1 სთ.

ტრენერები: გ. მელაძე, ი. დევნოზაშვილი.

9. სასკოლო გეოგრაფიის განვითარების ისტორია. [7] გვ. 26-50.

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერი: ნ. ელიზბარაშვილი.

10. გეოგრაფიის გაკვეთილის ტიპები და სტრუქტურა. გეოგრაფიის გაკვეთილის ანალიზის სქემა. [5] გვ. 140- 59.

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერი: დ. ნიკოლაიშვილი.

11. საველე - გეოგრაფიული კვლევა და სასწავლო ექსკურსიების დაგეგმარება. ორიენტირება და რუკის კითხვის მეთოდოლოგია. სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმები. [7] გვ. 32-65, 80-88, 160-165, 199-220. [5] გვ. 14-77.

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერები: გ. მელაძე, ი. დევნოზაშვილი.

12. ლანდშაფტურ-ეკოლოგიური გამოკვლევები და სწავლების მეთოდოლოგია. [1] გვ. 3-10, [3] გვ. 55-67.

ლექცია 1 სთ, პრაქტიკუმი 1 სთ.

ტრენერი: დ. ნიკოლაიშვილი.

საშინაო დავალება: გეოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები. [7] გვ.26-50.

ტრენერი: გ. მელაძე.

13. გეოგრაფიული შეფასება და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტივობა. [1] გვ. 61-91, [7] გვ. 76-82. [3] გვ. 75-81.

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერი: დ. ნიკოლაიშვილი.

14. გეოგრაფიული პრობლემები და გეოგრაფიის მნიშვნელობა გლობალური, რეგიონული და ლოკალური პრობლემების წარმოჩენაში. კავკასია და მეზობელი ქვეყნების გეოგრაფიული თავისებურებანი. [1] გვ. 43-54. [9] გვ. 57-71.

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერი: გ. მელაძე.

15. საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები. დემოგრაფიული კვლევის მეთოდები და გრაფიკული საშუალებები. [1] გვ. 3-10, [4] გვ. 3-18. [11] გვ. 25 - 48.

ლექცია 1 სთ., პრაქტიკუმი 1 სთ.

ტრენერი: გ. მელაძე.

16. გეოგრაფიული კანონზომიერებები, სწავლებანი, თეორიები და კონცეფციები. [1] გვ. 3-10 **ლექცია. 1 სთ.**

ტრენერი: დ. ნიკოლაიშვილი.

შუალედური ტესტირება – 1 სთ.

17. საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების გეოგრაფიული თავისებურებანი. ბუნებრივი რესურსების, ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების სივრცე-დროითი [1] გვ. 64-87, [6] გვ. 22-105. თავისებურებანი.

ლექცია 2 სთ.

ტრენერი: გ. მელაძე.

საპრეზენტაციო თემის შერჩევა და განაწილება 5 ჯგუფის მიხედვით.

ტრენერი: ი. დევნოზაშვილი.

18. გლობალური პრობლემების გეოგრაფია. ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები. [1] გვ. 139-166, [8] გვ. 85-105. [10] გვ. 3-35.

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერი: გ. მელაძე.

19. მთები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. წყალი და მასთან დაკავშირებული პრობლემები. [1] გვ. 167-174, [8] გვ. 110-130.

ლექცია 1 სთ.

ტრენერი: დ. ნიკოლაიშვილი.

საკონტროლო სამუშაო – 1 სთ.

ტრენერი: ი. დევნოზაშვილი.

20. დემოგრაფიული პრობლემების გეოგრაფია. ურბანიზაცია და დასახლებული პუნქტები. [1] გვ. 174-178, [8] გვ. 53-65. [4] გვ. 19-28. [12] გვ. 64-75.

ლექცია 1 სთ.

ტრენერი: გ. მელაძე.

საკვალიფიკაციო თემის პრეზენტაცია (1 სთ).

21. გეოგრაფიული გარემო და მეურნეობა. ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. დაცული ტერიტორიების სისტემა. [1] გვ. 184-190, [8] გვ. 130-145.

ლექცია 1 სთ, სემინარი 1 სთ.

ტრენერი: დ. ნიკოლაიშვილი.

საშინაო დავალება: საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების ანალიზი. [4] გვ.19 - 28.

ტრენერი: ი. დევნოზაშვილი.

22. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გეოგრაფია. [1] გვ. 178-184, [12] გვ. 83-105. **ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.**

ტრენერი: გ. მელაძე.

23. გეოგრაფია და კულტურა. [1] გვ.196 - 198, [8] გვ. 84 - 95. (საშინაო დავალების განხილვა).

ლექცია 1 სთ., სემინარი 1 სთ.

ტრენერი: გ. მელაძე.

24. საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური საკითხები. გეოგრაფიის ასპარეზი. [1] გვ. 198-207, [5] გვ. 52-64. [11] გვ. 64-72.

ლექცია 2 სთ.

ტრენერი: ნ. ელიზბარაშვილი.

შემაჯამებელი გამოცდა – 2 სთ.

საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება:

სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია 27 სთ. ლექცია, 14 სთ. სემინარი, 3 სთ. პრაქტიკული მეცადინეობა, 1 სთ. პრეზენტაცია, 2 სთ. ტესტირება და 1 სთ. საკონტროლო სამუშაო, 2 სთ. შემაჯამებელი გამოცდა, რაც შეადგენს 50 საკონტაქტო საათს. დამოუკიდებელი მუშაობის 50 საათი დაეთმობა ლექციებისათვის, სემინარებისათვის, შუალედური ტესტირებისათვის, საკონტროლო სამუშაოსათვის, პრეზენტაციისა და გამოცდისთვის მზადებასა და საშინაო დავალების შესრულებას.

შენიშვნები: საკვალიფიკაციო თემის პრეზენტაციისას ერთ–ერთი მსმენელი წარმოაჩენს ჯგუფის მუშაობის შედეგებს და ფრონტარული კითხვებით მოხდება ჯგუფის მიერ

მომზადებული თემის განხილვა. საკონტროლო სამუშაოსთვის გავლილი 10
საკითხიდან შეირჩევა ერთი.

ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა:

1. ნ. ელიზბარაშვილი. გეოგრაფიის საფუძვლები, თბილისი, 2008.
2. დ. ნიკოლაიშვილი. გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები. თბილისი, 2004.
3. ნ. ელიზბარაშვილი. ლანდშაფტური დაგეგმარების გეოეკოლოგიური საფუძვლები. თბილისი, 2005.
4. გ. მელაძე. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. თბილისი, 2007.
ლანდშაფტური პრაქტიკა მარტყოფის სტაციონარზე. თბილისი, 2002.
5. ნ. ელიზბარაშვილი, გ. სოფაძე, ლ. მაჭავარიანი, დ. ნიკოლაიშვილი, მ. რატიანი,
6. ეკოლოგიური ტერმინების ხუთენოვანი განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი 2005.
7. ე. გარსევანიშვილი. გეოგრაფიის სწავლების მეთოდика. თბილისი, 1985.
8. ნ. ბერუჩაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, შესავალი გეოგრაფიაში, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეთათვის, თბილისი, 2006
9. ნ. ელიზბარაშვილი, დ. კერესელიძე, ჯ. სამუშია, ბ. კუპატაძე, თ. მეიფარიანი და სხვ., საქართველოს და მსოფლიოს ისტორია და გეოგრაფია, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეთათვის, თბილისი, 2007.
10. ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეთათვის, თბილისი, 2007.
11. ნ. ბერუჩაშვილი, ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, საქართველოს გეოგრაფია, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეთათვის, თბილისი, 2008.
12. ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, გლობალური პრობლემების გეოგრაფია, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მეორემეტე კლასის მოსწავლეთათვის, თბილისი, 2008.

ტრენინგის ჩატარების გრაფიკი

დღე	საკითხი	საკონტაქტო საათები	ტრენერი /ტრენერები
I	გეოგრაფიის არსი, გეოგრაფიის კვლევის საგანი და ამოცანები. გეოგრაფიული გარსი და მისი შედგენილობა. გეოგრაფიის კვლევის ობიექტები. გეოგრაფიის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.	3 სთ. ლექცია 1 სთ. სემინარი 4 სთ. დამოუკ.	ნ. ელიზბარაშვილი (ლექცია), დ. ნიკოლაიშვილი (სემინარი).
II	ერთიანი გეოგრაფია. გეოგრაფიის სტრუქტურა, გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა. გეოგრაფიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში და კავშირი სხვა მეცნიერებებთან. თანამედროვე გეოგრაფიისთვის დამახასიათებელი პროცესები.	2 სთ. ლექცია 2 სთ. სემინარი 4 სთ. დამოუკ.	ნ. ელიზბარაშვილი (ლექცია), დ. ნიკოლაიშვილი (სემინარი).
III	გეოგრაფიის განვითარების ისტორია და გეოგრაფიული იდეების განვითარება. გეოგრაფიის განვითარების თანამედროვე ტენდენციები. საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება. საშინაო დავალება: გეოგრაფიის სტრუქტურა და კავშირი სხვა მეცნიერებებთან. გეოგრაფიის მეთოდოლოგია, ანალიზი და სინთეზი გეოგრაფიაში. გეოგრაფიული მიდგომა. გეოგრაფიის ტერმინოლოგიური აპარატი. გეოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგია.	2 სთ. ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ. პრაქტიკუმი 4 სთ. დამოუკ.	ნ. ელიზბარაშვილი (ლექცია / სემინარი), დ. ნიკოლაიშვილი (პრაქტიკუმი).
IV	გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები გეოგრაფიაში. მონაცემთა ბაზები და კარტოგრაფიული გამოსახულებანი. გეოგრაფიის სწავლების მეთოდები. შედარების, ანალიზის და სინთეზის მეთოდი. ჯგუფური და ინდივიდუალური სწავლება. მასწავლებლის წიგნი და მასში	2 სთ. ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ. ტესტირება 5 სთ. დამოუკ.	ნ. ელიზბარაშვილი (ლექცია / სემინარი), დ. ნიკოლაიშვილი (ლექცია), გ. მელაძე (ტესტირება), ი. დევნოზაშვილი (ტესტირება).

	მოტანილი სწავლების მეთოდები.		
V	სასკოლო გეოგრაფიის განვითარების ისტორია. გეოგრაფიის გაკვეთილის ტიპები და სტრუქტურა. გეოგრაფიის გაკვეთილის ანალიზის სქემა.	2 სთ. ლექცია 2 სთ. სემინარი 4 სთ. დამოუკ.	ნ. ელიზბარაშვილი (ლექცია / სემინარი), დ. ნიკოლაიშვილი (ლექცია / სემინარი).
VI	საველე - გეოგრაფიული კვლევა და სასწავლო ექსკურსიების დაგეგმარება. ორიენტირება და რუკის კითხვის მეთოდოლოგია. სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმები. ლანდშაფტურ-ეკოლოგიური გამოკვლევები და სწავლების მეთოდოლოგია. საშინაო დავალება: გეოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები.	2 სთ. ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ. პრაქტიკუმი 4 სთ. დამოუკ.	დ. ნიკოლაიშვილი (ლექცია / სემინარი), გ. მელაძე (ლექცია), ი. დევნოზაშვილი (პრაქტიკუმი).
VII	გეოგრაფიული შეფასება და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტივობა. გეოგრაფიული პრობლემები და გეოგრაფიის მნიშვნელობა გლობალური, რეგიონული და ლოკალური პრობლემების წარმოჩენაში. კავკასია და მეზობელი ქვეყნების გეოგრაფიული თავისებურებანი.	2 სთ. ლექცია 2 სთ. სემინარი 5 სთ. დამოუკ.	დ. ნიკოლაიშვილი (ლექცია / სემინარი), გ. მელაძე (ლექცია / სემინარი).
VIII	საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები. დემოგრაფიული კვლევის მეთოდები და გრაფიკული საშუალებები. გეოგრაფიული კანონზომიერებები, სწავლებანი, თეორიები და კონცეფციები. შუალედური ტესტირება.	2 სთ. ლექცია 1 სთ. პრაქტიკუმი 1 სთ. ტესტირება 5 სთ. დამოუკ.	დ. ნიკოლაიშვილი (ლექცია), გ. მელაძე (ლექცია / სემინარი).
IX	საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების გეოგრაფიული თავისებურებანი. ბუნებრივი რესურსების, ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების სივრცე-დროითი თავისებურებანი. გლობალური პრობლემების გეოგრაფია. ბუნებრივი და	3 სთ. ლექცია 1 სთ. სემინარი 5 სთ. დამოუკ.	დ. ნიკოლაიშვილი (ლექცია), გ. მელაძე (ლექცია / სემინარი).

	ტექნოგენური კატასტროფები.		
X	მთები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. წყალი და მასთან დაკავშირებული პრობლემები. საკონტროლო სამუშაო. დემოგრაფიული პრობლემების გეოგრაფია. ურბანიზაცია და დასახლებული პუნქტები. საკვალიფიკაციო თემის პრეზენტაცია.	2 სთ. ლექცია 1 სთ. პრეზენტაცია 1 სთ. საკონტროლო სამუშაო 5 სთ. დამოუკ.	დ. ნიკოლაიშვილი (ლექცია), გ. მელაძე (ლექცია / სემინარი), ი. დევნოზაშვილი (საკონტროლო სამუშაო).
XI	გეოგრაფიული გარემო და მეურნეობა. ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. დაცული ტერიტორიების სისტემა. საშინაო დავალება: საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების ანალიზი. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გეოგრაფია. გეოგრაფია და კულტურა. საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური საკითხები. გეოგრაფიის ასპარეზი.	5 სთ. ლექცია 3 სთ. სემინარი 5 სთ. დამოუკ.	დ. ნიკოლაიშვილი (ლექცია / სემინარი), გ. მელაძე (ლექცია / სემინარი).
XII	შემაჯამებელი გამოცდა.	2 სთ. გამოცდა	ყველა ტრენერი.

სულ: 50 საკონტაქტო + 50 დამოუკიდებელი მუშაობის სთ. = 100 სთ. (4 კრედიტი).

ხარისხის უზრუნველყოფა

პროგრამის რაციონალური საფუძვლები – გეოგრაფიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი (ნოდარ ელიზბარაშვილი, დალი ნიკოლაიშვილი, გიორგი მელაძე, ია დევნოზაშვილი). ისინი აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, არიან სახელმძღვანელოების ავტორები, კარგად იცნობენ სასკოლო რეფორმის მოთხოვნებს და საშუალო სკოლაში მისი განვითარების თავისებურებებს. მათ მიერ შექმნილმა სასკოლო სახელმძღვანელოებმა წარმატებით გაიარა პილოტირება, მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი გრიფი.

პროგრამის ხელმძღვანელი ნოდარ ელიზბარაშვილი წლების განმავლობაში იყო განათლების სისტემის რეფორმის ექსპერტი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრი. იგი არის 17 სახელმძღვანელოსა და 15 სასწავლო-მეთოდური ნაშრომის ავტორი.

პროგრამის მონაწილეები კითხულობენ სასწავლო კურსებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; სისტემატურად მონაწილეობენ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ეგიდით გამართულ შეხვედრებში, გეოგრაფიულ საზოგადოებასთან არსებულ საკვირაო სკოლების მუშაობაში, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტებში, საველე ექსპედიციებში და სხვ.

გეოგრაფიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის საშუალებით მსმენელები გაეცნობიან: თანამედროვე გეოგრაფიის პრობლემებს, განვითარების ტენდენციებს, სამეცნიერო-გეოგრაფიულ სკოლებს, გეოგრაფიის გამოყენებით დანიშნულებას და მის როლს გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში, სიახლეებს სასკოლო-გეოგრაფიულ განათლებაში, გეოგრაფიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს და გის-ტექნოლოგიებს, სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენის პრინციპებს და მეთოდოლოგიას, კლასგარეშე მუშაობის და საველე-გეოგრაფიული ექსკურსიების ორგანიზების მნიშვნელობას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიმდინარე რეფორმის და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადების პროცესში.

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის პროფესურას კიდევ უფრო გააღრმავოს კონტაქტები სკოლასთან, პედაგოგებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლება გამოიწვევს სკოლაში სწავლების ხარისხის ზრდას, მოსწავლის – მომავალი სტუდენტის – ინტელექტუალური დონის ამაღლებას, რაც დადებითად იმოქმედებს უნივერსიტეტში სწავლების პროცესზეც. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელება დამატებითი შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენს.

პროგრამის მონაწილეთა შეფასება – მონაწილეთა შეფასებისას გამოიყენება შეფასების 100 ქულიანი, მრავალკომპონენტური სისტემა შემდეგი სქემით:

- საშინაო (3) დავალების შესრულება – 45%
- შუალედური (2) ტესტირება – 20%
- საკონტროლო (1) სამუშაო – 10%
- საკვალიფიკაციო თემის (1) პრეზენტაცია (ჯგუფური მუშაობის შედეგები) – 10%
- გამოცდა – 15%

შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტისთვის განისაზღვრება შესაბამისი ქულები.

გათვალისწინებულია სამი საშინაო დავალება. თითოეული მათგანი ფასდება 15 ქულით. სულ: 45 ქულა.

გათვალისწინებულია ორი ტესტირება. თითოეული მათგანი ფასდება 10 ქულით. სულ: 20 ქულა.

შენიშვნა: გამოცდაზე დაიშვება მსმენელი, ვინც საშინაო დავალების შესრულების, შუალედური ტესტირების და საკონტროლო სამუშაოს შესრულების შედეგად დააგროვა 41 ქულა.

სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე პირობები – გეოგრაფიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ საუნივერსიტეტო და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკით, სადაც ინახება ყველა ის სახელმძღვანელო, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია გეოგრაფიის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით.

პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ კომპიუტერული რესურს-ცენტრებით და UTP საკაბელო ინტერნეტ-კავშირით.

ლექციებზე გამოყენებული იქნება თვალსაჩინოება – სადემონსტრაციო-ტექნოლოგიური საშუალებები (power point).

პროგრამის მსმენელებს სისტემატურად ჩაუტარდებათ კონსულტაციები, სადაც მიიღებენ კვალიფიციურ პასუხს მათ მიერ დასმულ კითხვებზე, რომლებიც შეეხება როგორც პროფესიულ ცოდნას, ისე სწავლების მეთოდიკას.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები – კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 51 ქულის დაგროვება.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი ვერ შეძლებს შესაბამისი კრედიტების დაგროვებას, მას მიეცემა არა სერტიფიკატი, არამედ აკადემიური ცნობა, რომ აღნიშნული პროგრამა, ან მისი რომელიმე მოდული მოისმინა.

პროგრამის შეფასება – პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისათვის გამოიყენება თვითშეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს შემდეგ მექანიზმებსა და პროცედურებს:

ა) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ექსპერტების მიერ) სპეციალური ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 19 სექტემბრის # 800 ბრძანების და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მოთხოვნების თანახმად და რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III). აღნიშნული ფორმისა და კრიტერიუმების გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-programs-evaluation.doc>);

ბ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის საჯარო განხილვა თსუ აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორების, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების (ანუ სკოლის მასწავლებელთა) მონაწილეობით; საჯარო განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნების, მოსაზრებების, წინადადების გათვალისწინება პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში;

გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III); აღნიშნული პროცედურის გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-program-procedure.doc>);

დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელთა გამოკითხვა პროგრამის დასრულების შემდეგ, ხოლო მსმენელების შენიშვნების გათვალისწინება პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კითხვარი დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III) და მისი გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-kitxvari.doc>);

ე) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ლექციებზე (პრაქტიკუმებზე, სემინარებზე) სხვა კოლეგების დასწრება. ლექციის (პრაქტიკუმის, სემინარის) შეფასება გათვალისწინებულია საგანგებოდ შემუშავებული ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III) და განთავსებულია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-kitxvari.doc>);

ვ) სერტიფიკატის გაცემა გათვალისწინებულია საგანგებოდ შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია თსუ რექტორის 2008 წლის 19 დეკემბრის # 113/01-01 ბრძანებით „მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის დამზადების, აღრიცხვა-ანგარიშგების, შენახვისა და გაცემის წესისა და სერტიფიკატის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“; (იხ. დანართი VII).

ხარისხის უზრუნველყოფის ზემოთ მოყვანილი მექანიზმები და პროცედურები ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, თსუ წესდებას (იხ.: www.tsu.ge/docs/cesdeba.pdf, www.tsu.ge/docs/cesdebashi%20cvlileba-saministro.pdf), „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“, რომელიც მომზადებულია უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ (იხ.: www.tsu.ge/qa/doc/QA_geo.pdf).

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები – გეოგრაფიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების და ხელშეკრულებით მოწვეული მასწავლებლების 4 წარმომადგენელი.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და წევრი გეოგრაფიის მიმართულებით.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან აკრედიტაციის მიღების შემდეგ გაფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი სამუშაო დატვირთვა (საკონტაქტო საათები) და შესაბამისი ანაზღაურება. თსუ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი VIII). მოწვეული პედაგოგების ანაზღაურების საკითხი რეგულირდება თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2008 წლის 30 იანვრის # 12/02-01 და 2008 წლის 2 მაისის # 58/02-01 ბრძანებებით, რომლებიც ასევე მოცემულია დანართის სახით (იხ. დანართი IX).

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების პროცედურაში, აღნიშნული პროგრამების შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებში, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-program-procedure.doc>, (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-programs-evaluation.doc>);

(იხ. დანართი III). კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის სამეცნიერო /აკადემიური ხარისხი, სწავლის, მუშაობის, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები – გეოგრაფიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება თსუ II, X და XI კორპუსებში, კერძოდ, შემდეგ სასწავლო აუდიტორიებში (შენობა–ნაგებობებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისთვის იხ. დანართი V):

მისამართი	კორპუსის #	აუდიტორიის #	ფართი
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3	თსუ II კორპუსი	# 146	69 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3	თსუ II კორპუსი	# 501	36 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3	თსუ II კორპუსი	# 119	53,15 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3	თსუ II კორპუსი	# 176	30 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3	თსუ II კორპუსი	# 180	25 მ ²
უნივერსიტეტის ქ. # 2	თსუ X კორპუსი (ე. წ. მაღლივი კორპუსი)	# 314	36 მ ²
უნივერსიტეტის ქ. # 2	თსუ X კორპუსი (ე. წ. მაღლივი კორპუსი)	# 902	36 მ ²
უნივერსიტეტის ქ. # 13	თსუ XI კორპუსი (ე.წ. ბიოლოგების კორპუსი)	# 216	36 მ ²
უნივერსიტეტის ქ. # 13	თსუ XI კორპუსი (ე.წ. ბიოლოგების კორპუსი)	# 218	36 მ ²
უნივერსიტეტის ქ. # 13	თსუ XI კორპუსი (ე.წ. ბიოლოგების კორპუსი)	# 312	36 მ ²
უნივერსიტეტის ქ. # 13	თსუ XI კორპუსი (ე.წ. ბიოლოგების კორპუსი)	# 336	36 მ ²
უნივერსიტეტის ქ. # 13	თსუ XI კორპუსი (ე.წ. ბიოლოგების კორპუსი)	# 422	36 მ ²
უნივერსიტეტის ქ. # 13	თსუ XI კორპუსი (ე.წ. ბიოლოგების კორპუსი)	# 206	36 მ ²

გეოგრაფიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ შემდეგი კომპიუტერული რესურს-ცენტრებით და საშუალება ექნებათ თავისუფლად გამოიყენონ ინტერნეტ-რესურსები პროფესიული განვითარების მიზნით:

მისამართი	კორპუსის #	რესურს-ცენტრში კომპიუტერების რაოდენობა
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3	თსუ II კორპუსი	40
უნივერსიტეტის ქ. # 2	თსუ X კორპუსი (მაღლივი კორპუსი)	50 (2 x 25)

ლექციებზე გამოყენებული იქნება სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები – პორტატული კომპიუტერი და პროექტორი.

გეოგრაფიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ შემდეგი ბიბლიოთეკებით, სადაც ინახება პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო:

მისამართი	ბიბლიოთეკის დასახელება	წიგნადი ფონდი
უნივერსიტეტის ქ. # 11	საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა	4 291 941 წიგნი
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3, უნივერსიტეტის ქ. # 2	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა	85 000 წიგნი

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების სტრატეგია – 2007 წლის 19 მარტს თსუ აკადემიური საბჭოს # 14 დადგენილებით დამტკიცდა თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2007–2010 სასწავლო წლებში (იხ.:<http://www.tsu.ge/news/acadc/dad14.asp>), რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის შექმნა;
 სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება-დანერგვა;
 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება;
 თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესში;
 საბიბლიოთეკო ფონდის განახლება;
 მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული რეაბილიტაცია.

თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმის ზემოთ აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

ა) 2006-2008 წლებში, ანუ ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებიდან დღემდე შეძენილია 1200 კომპიუტერზე მეტი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 17 ნოემბერს, თვითშეფასების კითხვარის დანართის სახით.

ბ) დღეისათვის თსუ-ს ექვს ფაკულტეტს ემსახურება 26 კომპიუტერული ლაბორატორია და რესურს-ცენტრი.

გ) თსუ-ში ფუნციონირებს: ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკა, იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ევროპული კვლევების ინტერფაკულტატური ბიბლიოთეკა, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბიბლიოთეკა, ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკა.

დ) 2006-2008 წლებში, ანუ ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებიდან დღემდე თსუ ბიბლიოთეკების წიგნად ფონდს დაემატა 755998 სახელმძღვანელო, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის

ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 17 ნოემბერს, თვითშეფასების კითხვარის დანართის სახით.

ე) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს ელექტრონული სწავლების სისტემა Moodle: <http://moodle.science.tsu.ge>. უახლოეს მომავალში იგეგმება მსგავსი სისტემის დანერგვა თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზეც.

ვ) ამჟამად მიმდინარეობს თსუ-ს პირველი და მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია, რომელსაც აფინანსებს ფონდი "ქართუ". თსუ მეორე კორპუსში ცალკეული აუდიტორიების რეაბილიტაცია და სასწავლო ინვენტარით აღჭურვა ხდება საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ. დაგეგმილია თსუ-ს მაღლივი კორპუსის ტერიტორიის კეთილმოწყობა და "ცოდნის ქალაქის" მშენებლობა, რისთვისაც გათვალისწინებულია სხვადასხვა წყაროებიდან 250 მლნ. ლარის მობილიზება (იხ. სააკრედიტაციო დოკუმენტაციაზე თანდართული ვიდეო-რგოლი).

ზ) 2008 წლის 29 დეკემბერს თსუ წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა თსუ შემდეგი ადმინისტრაციული სტრუქტურები: "საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი", რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესში და "აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი", რომლის მიზანია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და ამოქმედებაზე ზრუნვა, სხვადასხვა სახის სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება-დანერგვა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება და სხვ.